



საქართველო  
ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 41 29

17/01/2017

შპს „ჯგუფი 184“-სათვის საავანსო თანხის გადარიცხვის შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 26 დეკემბრის N171 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯგუფი 184“-სთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო-საამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიის შესაბამისად, საავანსო თანხის გადარიცხვის მიზნით:

1. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა ავანსად გასაცემი თანხა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, გამოყოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სტიქური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯიდან“ მუხლით „სხვა ხარჯი“
2. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა გამოყოფილი თანხა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე გადაურიცხოს შპს „ჯგუფი 184“-ს საბანკო ანგარიშზე.
3. კონტროლო ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ჭელიძემ;
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბაღდათის მაგისტრ სასამართლოში სასამართლოში (მისამართზე: ქ.ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ. N7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ გოგასძე

**საავანსო გადახდის საგარანციო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანცია)**

FG/17 015265

ვის: სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს ჯგუფი 184-მ (ს/ვ: 212870366), შემდგომში "მიმწოდებელი", სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტის წინაშე, შემდგომში "მენეფიცირი", იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანცია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების გარანციის სახით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო-სააშენებლო სამუშაოები) მის მიერ მოთხოვნილ საავანსო გადახდის თანხაზე ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ "მიმწოდებლის" სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანცია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანცემა და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე "მიმწოდებლის" სახელით არაუმეტეს თანხაზე 15 000,00 (თხუთმეტი ათასი ლარი) და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას "მიმწოდებლის" მიერ სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტთან 2016 წლის 26 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით № 171 ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე კერძოდ, ავანსად გაცემული თანხის არამიზნობრივი გახარჯვის შემთხვევაში თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის მანძილზე.

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანციო თანხა ავტომატურად შემცირდება "მიმწოდებლის" მიერ "მენეფიცირი"-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად საგარანციო უზრუნველყოფა ძალაშია 2017 წლის 16 იანვრიდან 2017 წლის 01 ივნისის ჩათვლით, რის შემდეგაც მოთხოვნა საგარანციო თანხის გადახდასზე სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტის მხრიდან აღარ მიიღება.

ეს გარანცია გაცემა პრინციპალთან (მიმწოდებელთან) 2017 წლის 16 იანვარს გაფორმებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების №GA 041/17-ის საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპი აი ჰოლდინგი"  
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674,  
კოსტავას ქ. 67, თბილისი 0160

ანი შენგელია  
გენერალური დირექტორის პაატა ლომაძის  
ფინანსური დირექტორის ლევან ზუროშვილის  
მინდობილი პირი

თარიღი: 16.01.2017

